№ 91
პარასკევი, 27 აპრილი, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 91
პარასკევი, 27 აპრილი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

მარიამ ნიკოლოზის ასული და კონსტანტინე ლუარსაბის ძე ფურცელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას სოფელს მერეთში, პირველი დედისა, ხოლო მეორე სიდედრის

ეკატერინე გლახა ყიფიანის ასულის თურქესტანოვისას.

პანაშვიდი გარდახდილი იქმნება ყოველ დღე, დილით და საღამოთი, ხოლო დასაფლავება მოხდება სოფელ მერეთში, შაბათს, 28 აპრილს.
(3—108—2)

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა 1901 წ.

გამოფენა დაიწყობა ტფილისში 20 აგვისტოს და შემდეგი განყოფილებანი ექმნება:

1, მიწად-მოქმედება.
2, მევენახობა და მეღვინეობა.
3, საბაღე და საბოსტნე თესლეულობა, სანერგეები და ნერგები.
4, დეკორატიული ბაღოსნობა.
5, ხეხილის მოშენება და მებოსტნეობა.
6, ტყის მოვლა-მოშენება.
7, შინაური საქონელი და ფრინველი.
8, მერძეობისა და საქონლის მოვლა-მოშენების ნაწარმოებნი.
9, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.
10, მეთევზეობა და მონადირეობა.
11, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები.
12, შინა და სახელოსნო მრეწველობა.
13, საქარხნო მრეწველობა.
14, სამთო მრეწველობა.
15, საპედაგოგიო-საპროფესიონალო განყოფილება.
16, სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილება.
17, სამეცნიერო-სამოსწავლო განყოფილება.
18, სამხატვრო განყოფილება.

ბიურო გამოფენისა და კომისარიატის კანცელარია იმყოფება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ბარიატინსკის ქუჩაზედ, და ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

პირის პირ მოსალაპარაკებლად გამოფენის კომისარი მიიღებს მსურველთ კომისარიატის კანცელარიის ბინაზედ. (10—ნ.—ნ)

გამგეობა გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „შუამავალისა“

ამით აცხადებს, რომ 9 მაისს ამა წლისას, დილის ათ საათზედ, ქალაქ ოზურგეთში, ამხანაგობის კანტორაში დანიშნულია ჩვეულებრივი წარმომადგენელთა წლიური კრება ამა ამხანაგობისა.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, განხილვა და დამტკიცება 1900 წლის ანგარიშისა; 2, დროებით, მომავალის წლის საზოგადო კრებამდის, წილის ფულის რაოდენობის შეცვლა ახალ წევრთათვის; 3, გამორიცხულ წევრების უფლების მიცემა შეავსონ წილის ფული და მათი გადასვლითი ფული ჩაერიცხოთ წილის ფულად; 4, მიღება ახალ წევრთა და იმ წევრებისა, რომელთაც წილი სხვებისგან შეიძინეს; 5, მიღება იმ წევრისა, რომელიც გასულს წელს წლიურ კრებაზედ არ იქმნა მიღებული; 6, განხილვა თხოვნებისა იმ პირებისაგან, რომელთაც ბ-ნ კ. თავართქილაძესთან წილის ფული შეუტანიათ, წილის ბარათიც მიუღიათ, მაგრამ არსად მოხსენებულნი არ არიან; 7, მოხსენება სარევიზიო კომისიისა, უკეთუ გამგეობას გადმოსცემს თავისს დროზედ განსახილველად; 8, სესხის მოპოვება; 9, არჩევა სარევიზიო კომისიისა განცალკევებით ოზურგეთსა და ლანჩხუთში; 10, არჩევა გამგეობის ერთის წევრისა, ნაცვლად თ. კიკვაძისა, რომელიც სამსახურს თავს ანებებს.

მმართველი ს. ჭეიშვილი
(2—ნ.—1)

ქართული თეატრი

ქართული დრამატიული საზოგადოება
კვირას, 29 აპრილს,
გ. ნ. სუნდუკიანცის კომედიის „პეპოს“ 30 წლის სახსოვრად გამართავს სადღესასწაულო წარმოდგენას.
წარმოდგენილი იქნება:

I

პეპო

კომედ. 3 მოქ. თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა
მონაწ. მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვისა, გაბუნია ცაგარლისა, ნებიერიძე; ბ.ბ. ყიფიანი, აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი და სხვ.

II

გ. ნ. სუნდუკიანცის პატივსაცემლად გაიმართება

აქცი

ადგილების ფასი მომატებულია.
დასაწყისი სწორედ $8\frac{1}{2}$ საათზედ.
ბილეთები ისყიდება ყოველ დღე კასსაში.
გამგენი: ვ აბაშიძე და კ. მესხი,
(3—უ—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მ. გედევანიშვილისა
ბუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა
დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

ვ. ვ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კარეტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კარეტი ღარიბთათვის უფასოა.

აპრილის 23—29-მდის ქუთაისში

ექიმი
ნიკო ერისთავი

მიიღებს ნერვების და შინაგან (გულის, სტომაქის, ფილტვების, ნაწლავების) ავადმყოფთ.
სევერნი ნომრები. (6—106—5)

ფელეტონი

მარიამ შოტლანდელი

ხუთ-მოქმედ. დრამა
თხზ. ბერნსტერნ ბერნსონისა.
თარგმანი ინ-ანისა.
(შემდეგი *)

მოქმედება მეორე.

გამოსვლა I.

ნოქსის სახლი.

ნოქსი. (მარტოდ-მარტოა; ხელები ზურგზე უწყვია და მძიმე ნაბიჯით გადი-გამოდის ოთახში. კარებს უკაკუნებენ). შემოდით! (ისევ დადის).

ლინდსეი და მორტონი. (შემოდიან). მშვიდობა თქვენთან!

ლინდსეი. ჩვენ გვაცნობეს, რომ 4 საათზედ აქ შევკრებილიყავით.

ნოქსი. (ისევ დადის). ვიცი. (სიჩუმეა).

მორტონი. რუტვენ... ნეტავ, თუ შესძლებს, რომ მოვიდეს?

ნოქსი. არ ვიცი.

ლინდსეი. (მორტონს იმ დროს, როდესაც ორივენი ავან-სცენაზედ მოდიან). მილორდ, რამდენი კაცი შეჰყარეთ?

მორტონი. ხუთასი მსროლელი.

ლინდსეი. ბევრი არ არის.

მორტონი. სამაგიეროდ მე ამ ბიჭებს სრულიად ვენდობი, საუკეთესო ვაჟკაცები არიან; ომში ყოფნა მათთვის ახალი ამბავი აღარ არის; ზოგიერთი იმათგანი ომში ისეა გამოქნილი, რომ ჩვენ ვერც-კი შევედრებით.

ლინდსეი. სასახლის დარაჯი დიდი არ არის, იმათ ადვილად მოვურიგდებით. მაგრამ ხომ შეიძლება დარაჯებს მოქალაქენიც მიეშველნენ.

მორტონი. ჩემის კაცებისათვის? მოქალაქე იგივ ხარია,—ერთი თუ მოსცხეს შუბლში, მეტი არ დასჭირდებათ. მომეტებულს მათგანს საფრანგეთსა, გერმანიასა და დანიაში უმსახურნია; ომი იმათთვის ხელობაა, ლხინია.

ლინდსეი მეფე რომ ვიყო, უცხო ქვეყნებ სათვის ჯარის გაყვანას სულ ავკრძალავდი. იცოდე, ასე ძალიან არა ჰრყვნის-რა ხალხსა.

მორტონი. პირ-იქით, უკეთესს სკოლას სხვას ვერ მოსძებნი.

ლინდსეი. ამ საგნის შესახებ გრაფი მურრეი და მე ვერასოდეს ვერ ვთანხმდებოდით. იგი თავისს მემამულეთ პირდაპირ უცხო ქვეყნებში ჰყიდდა.

მორტონი. ბავშვებსა ჰყიდდა და ვაჟკაცებს იძენდა. მურრიემ კარგად იცის, რასაცა სჩადის.

ლინდსეი. როგორ, გგონიათ დროზედ მოვიდეს იგი? ახლა უკვე აქ უნდა იყოს.

მორტონი. ვინც ფარულად დადის, იმას ხშირად გზა უგრძელდება. მაგრამ ნოქსმა უნდა იცოდეს რამე უთუოდ.

ლინდსეი. (ნოქსს). მიიღეთ რამე ამბავი მურრეისაგან?

ნოქსი. (ისევ დადის). დიაღ.

მორტონი. მოვა?

ნოქსი. ახლავე.

ლინდსეი. (მორტონს). ეს კარგი საქმეა. მაშ დავსხდეთ ჯერ და მოვუცადოთ. მართალი რომ ვსთქვა, სისხლი როგორღაც არეული მაქვს. ჯდომა სჯობიან, დამშვიდდება.

მორტონი. ჩემი კი არაფერს ამბავშია; მხოლოდ საშინლადა მწყინს, რომ ნოქსი არაფერს გვეუბნება. აბა, ერთი ვცდი და გამოველაპარაკები.

ლინდსეი. არა, თავი დაანებეთ! (სიჩუმეა. კარების კაკუნი ისმის).

გამოსვლა II.

იგინივე. რუტვენი.

ნოქსი. შემოდით! (კარები გაიღება, შემოდის რუტვენი, მთლად შეიარაღებული, მხარში ბიჭი უზის. ლინდსეი და მორტონი წამოდგებიან. პირველი სკამს მიუწევს, მეორე დაჯდომას ჰშველის).

მორტონი. ძალას იტანთ, რუტვენ. სჯობდა შინ დარჩენილიყავით, ლოგინში სწოლილიყავით.

რუტვენი. (ბიჭს). წადი! იქ დამიცადე!

ლინდსეი. ჩვენ მაინც არ გვეგონა, ბ-ნო რუტვენ, თუ შესძლებდით და მოხვიდოდით; თქვენ აგრე დაუძლურებული ხართ!

რუტვენი. მარტო თქვენ ვერ მოგენდობით.

მორტონი. მაგრამ ჩვენ ხომ ბევრნი ვართ.

ლინდსეი. და ყველაფერიც მზად არის უკვე.

რუტვენი. დედოფლის ცრემლის დანახვაზედ ხელი აგიკანკალდებათ. გიცნობთ, გიცნობთ.

ლინდსეი. ღმერთმა დაიფაროს, რომ მისმა ცრემლებმა სამშობლოს სიკეთე ვერ დაგვავიწყოს.

მორტონი. ნუ თუ მილორდ, გსურთ თქვენც სასახლეში მიბრძანდეთ?

რუტვენი. დიაღ! თუნდაც ხელით მოგიხდეთ ჩემი წაყვანა.

ლინდსეი. მერე, ავადმყოფი რას გააკეთებთ?

რუტვენი. მინდა ვუცქირო, რომ რიგზედ მოჰკლან ეგ შეჩვენებული. ლეტინგტონ სადღაა?

ლინდსეი. სწორედ იმ დღეს, როდესაც ყველას ჩვენი ხელწერილები უნდა მიგვეცა, ქალაქიდამ სადღაც წავიდა.

რუტვენი. აი, ხომ ჰხედავთ! როგორ ვენდო ამისთანა ხალხს?

მორტონი. ლეტინგტონი ფრთხილია.

რუტვენი. განა ახლა სიფრთხილის დროა? აბა მიყურეთ: ავადმყოფი აქ თქვენთანა ვარ, რომ თქვენთან ერთად მტერსა ვებრძოლო!

მორტონი. ყველა თავისებურად გამოსადეგია. ლეტინგტონი ისეთს ადგილას დაგვეხმარა, სადაც მისობას ვერავინ გაგვიწევდა; დაგვეხმარა უფრო-კი იმითი, რომ თავი არ გასცა.

ლინდსეი. ძალიან ცუდადა ხართ,

---

*) იხ. „ივერია“ № 85.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. ზპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არზანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: სამკურნალო დეპარტამენტის უმცროს მოხელეთ: შენგელიძესა და აბო-ხავრაძეს, პირველს ნადვორნი სოვეტნიკობა და მეორეს კოლეჟსკი ასესორობა.

◆

შემოწირულება

„ქ.·შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

კნეინა ნინო სვიმონის ასულის ორბელიანის მიერ შეკრებილი:

ბ-ნმა ლეიტცმა—13 აბრეშუმის გალსტუხი, 6 წყვილი ყმაწვილის ჩულქი, 13 კრახმალიანი პერანგის გული და საყელო.

სოფიო გიორგობიანისა და ი. მხეიძის საპარიკმახერო ფირმან—12 ბროშკა, 11 თმის დასამაგრებელი, 2 სავარცხელი, 1 დუხი, 2 ოდეკალონი, სარკე პომადით, 3 საპონი, პატარა პორთფელი, სურნელოვანი პატარა ბალიში.

„უჩებნოე პოსობიის“ მაღაზიამ—10 საყმაწვილო ბურთი, 7 სათამაშო თევზი.

ი. ნ. ასტვაცატუროვის ჰურჰლის მაღაზიამ—3 საფერფლე, ერთი საკარაქე და ერთი ვაზა.

ოქრომჭედელმა კაცმა—3 ძეწკვი საათისა, 10 მანეთად ღირებული.

◆

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განზრახვა აქვს მომავალ სადღესასწაულო გამოფენაზედ მეურნეთა კრება მოიწვიოს. საბჭოს უკვე უთხოვნია სპეციალისტებისათვის ამ კრების პროგრამის შედგენა.

⁂ საქართველოს ექსარხოსი ფლობიანე ქ. სოხუმსა, ახალ ათონს და დრანდის მონასტერში აპირებს წასვლას.

⁂ დღეს, 27 აპრილს, საღამოს 7½ საათზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება მოხდება. განსახილველად დანიშნულია: 1) მიმდინარე საქმეები, 2) სამეურნეო კომისიის მოხსენება; ა) საბალოსნო სკოლის მდგომარეობა, ბ) ამ სკოლაში სწავლის დაწყება და გ) სკოლის 1901 წლის ხარჯთ აღრიცხვა. კრებაზედ არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

⁂ 24 აპრილს ქუთაისში, თავ. დ. ო. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით დაიწყო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება. ამ დღეს, თავად-აზნაურთა მიერ ფიცის მიღების შემდეგ, წაკითხულ იქმნა პასუხი ხელმწიფე იმპერატორთან გაგზავნილ დეპეშისა, რომლითაც თავად-აზნაურობამ მის უდიდებულესობას მიულოცა ავადმყოფობისაგან განკურნება დ მადლობა გარდაუხადა ადგილ-მამულზედ დარჩენილ გარდასახადის პატივებისათვის. შემდეგ კრებას ლაპარაკი ჰქონდა რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების დღესასწაულის შესახებ. კრებამ ხანგრძლივის სჯა-ბაასის შემდეგ დაადგინა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობასთან ერთად იდღესასწაულოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულება. ტფილისის თავად-აზნაურობის მიერ არჩეულ კომისიასთან მიწერ-მოწერის გასამართავად და ამ საგნის დაწვრილებით განსახილველად არჩეულ იქმნა კომისია. და სასრულ კრებამ დაადგინა თავად აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსთან დაარსებულ იქმნას არხივი.

⁂ ამ დღეებში ქალაქის გამგეობამ მიიღო ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან გამოგზავნილი შემდეგი დეპეშა: ჩვენი საზოგადოების ერთი ადმინისტრატორთაგანი უკვე გამოემგზავრა ტფილისში იმ საქმის გამო, რომლის თაობაზედ უკმაყოფილება ჩამოვარდა რობისა და გამგეობის შორისო.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა უმაღლესი მთავრობის განკარგულებით მოსთხოვა ქალაქის გამგეობას დაუთმოს ავლაბარში ჯარს თოფის სროლაში სავარჯიშოდ ქალაქის ადგილი ზომით 487 დესეტ. და 602 ოთხ. კუთ. საჟ. გამგეობამ, განიხილა რა ეს საკითხი გუშინ, დაადგინა მიანდოს გამგეობის წევრს თავ. ჩერქეზიშვილს, ვრცელი მოხსენება წარუდგინოს ამის შესახებ გამგეობას, რომლის შემდეგ უნდა დათვალიერებულ იქმნეს ის ადგილები ქალაქის მიწის მზომელთან ერთად.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გადასწყვიტა წელს სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის დროს ზოგიერთა სამეურნეო და სამრეწველო კითხვების განსახილველად გამართოს მეურნეთა და მრეწველთა კრებები. ეს საქმე რომ უფრო სასურველად იქმნას მოწყობილი, საბჭომ მიჰმართა თხოვნით აგრონომებს და სხვა სპეციალისტებს და სთხოვა დახმარება გაუწიონ ამ საქმეში საბჭომ, სხვათა შორის, სთხოვა აგრონომ სტაროსელსკის შეადგინოს აღნიშნულ კრებების წესი, რომელიც მოკლე დროშივე უნდა წარუდგინოს საზოგადოებას, რადგანაც კრებების მოწყობისების დასართველად შუამდგომლობა უნდა აღსძრას მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წინაშე.

⁂ 21 აპრილს ნაფარეულის საუფლისწულო მამულში, თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ჩოლოყაშვილისა, მაზრის უფროსის თანაშემწის თავ. ჯანდიერისა, მომრიგებელ შუამავლის თავ. ჰავჰავაძისა, მრავალ მემამულეთა და გლეხთა თანადასწრებით ბ ნ გოგოლიანოვსკის ხელმძღვანელობით პირველად სცადეს სეტყვასთან საბრძოლველი ზარბაზნები. სულ 14 ზარბაზანი სცადეს.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ცირკულიარი გამოსცა, რომელშიაც სწერს, რომ მიუხედავად 1900 წლის 1-ლ ივლისს გამოცემულ ცირკულიარისა დეპეშის სწორედ გადაცემის შესახებ, დეპეშები ეხლაც ხშირად შეცდომებით საცდა და მათს გასწორებას ბევრი დრო უნდებაო. ამ უწეს რიგობის მოსასპობლად გამგეობა აცხადებს, რომ დამნაშავე ტელეგრაფისტები დასჯილნი იქმნებიანო. პირველად 3 მან. ჯარიმა გარდახდებათ, მეორედ—თვიურ ჯამაგირს 3 თვის განმავლობაში ხუთ-ხუთ მ.ნეთს დაუკლებენ და მესამედ—სამსახურიდგან დაითხოვენო.

⁂ როგორც ამიერ კავკასიის რკინის გზის სხვა-და სხვა სადგურიდგან გვატყობინებენ, 25 აპრილს ტფილ სიდგან ქუთაისსა და ტყიბულამდე ყველგან წვიმები ყოფილა.

⁂ 9 მაისისათვის დანიშნულია გურიის სავაჭრ -სამრეწველო ამხანაგობის წარმომადგენელთა წლიური კრება სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად. კრება მოხდება ქ. ოზურგეთში, ამხანაგობის კანტორაში.

⁂ 29 აპრილს, ტფილისის საურთიერ.თო დამზღვევ საზოგადოების წევრთა კრება მოხდება საზოგადოების დირექტორის ასარჩევად. კანდიდატებად 6 კაცია თურმე დასახელებული.

⁂ ტფილისის გუბერნატორს დაუვალებია ქალაქის მოურავისათვის წარადგინოს ცნობები მთაწმინდაზედ ფუნიკულერის გამართვის შესახებ.

რუტვენ?

რუტვენი. დიაღ, ცუდათა ვარ: ღამე ცუდად ვიყავი, მაგრამ დღისით უარესად გავხდი. ნოქსი სად არის?

ნოქსი. (შესდგება ერთს წამს). რუტვენ!

რუტვენი. ოო, აქა ხარ?—ცუდათა ვარ, ნოქს!

ნოქსი. გეტყობათ, ვხედავ.

რუტვენი. რატომ ჩემსას არ შემოივლი ხოლმე?

ნოქსი. მიტომ, რომ ჯერ ჩემი თავი არ გიპირს.

რუტვენი. არა, ნოქს, არ იცი უთუოდ, თუ რა ძნელია მთელის ღამობით უძილობა, როდესაც მთლად წარსული საზარელის სახით თვალწინ წარმოგიდგება, უწყალოდ გტანჯავს... რიგია, ნოქს, მოხვიდე ხოლმე...

ნოქსი. არა, ჯერ დრო არ იყო.

რუტვენი. ჯერ დრო არ იყო? ვითომ რა გინდა სთქვა, ნოქს?

ნოქსი. როდესაც საქმე იქამდე მივა, რომ შენვე მოისურვებ სიკვდილს, მაშინ მოვალ რუტვენ.

რუტვენი. (შეშინებული წამოიწევს, მაგრამ ისევ უღონოდ დაეშვება). სცდები, ნოქს! ჩემი ავადმყოფობა სასიკვდილო როდია; იგი მხოლოდ ძვლებსა მწვავს, შეუბრალებლად მტანჯავს; შეიძლება სრულიად დავკუტდე, მაგრამ სიკვდილით-კი არ მოვკვდები. რას გაჩუმებულხარ, ნოქს?

ნოქსი. პასუხი მეტია!

რუტვენი. რომ ვიცოდე ეს ჩემი ავადმყოფობა სასიკვდილოა, თავს აღარ ვიცოცხლებდი, თვითონვე რასმე ავუტეხდი ჩემს თავს.

ნოქსი. ეგ გზა ხომ პირდაპირ ჯოჯოხეთში მიგიყვანდათ.

რუტვენი. ო, ნოქს, მაგას ნუ მეტყვი! გეკითხოს მესსა... მაგრამ რა? ახლა იგი აღარსად არის. ნოქს, მოდი დაჯექ, მელაპარაკე.

ნოქსი. (მის წინ შესდგება). რა გინდა ჩემგან?

რუტვენი. შენ, ნოქს, მეტად სასტიკი ხარ; სარწმუნოებაც ასრეთივე სასტიკი გაქვს; ხსნა თურმე არსაიდამ არის.

ნოქსი. ეძებე, იგი თვით შენს სულსა და გულშია.

რუტვენი. ვიცი; ამიტომაც ამ ჩემს ავადმყოფობას არაფრადა ვთვლი და სხვებთან ერთად სასახლეში მივდივარ. ოჰ, თუ შევძლებთ როგორმე ეს ღვთისგან დავიწყებული დედაკაცი, ეკკლესიის იარა, ჩამოვიცალოთ და მისი გადამბირებელი, ის მაცდურის მონა, რიჩჩიოც მოვკლათ, მაშინ მაქვს იმედი, რომ საზარელის განკითხვის დღეს ეს სიკეთეთ ჩამეთვლება. ასეა, განა, ნოქს?

ნოქსი. არ ვიცი.

რუტვენი. არ იცი? განა, შენ თითონვე არ გვიმართავ ხელს ამ საქმეში, შენვე არ გვამხნევებ; ეხლაც ხომ შენს სახლში ვართ შეკრებილნი!

ნოქსი. მე თქვენ არასოდეს არ წამიქეზებიხართ.

რუტვენი. მაინც რას ფიქრობ ამ საქმის შესახებ? როგორღაც მაშინებ!

ლინდსეი. (წინ წამოდგება). მეც, ნოქს! არ ვიცი, სხვებს რა აიძულებს და მე-კი მხოლოდ ეკკლესიას მსურს ვემსახურო.

რუტვენი. გთხოვთ, გვითხარი—რა აზრისა ხარ ამ ჩვენის საქმის შესახებ, მაგ გამოურკვეველს შიშს ნუ დაგვალევინებ.

ნოქსი. მე არას ვიტყვი; დეე, ისევ დაბადებამ გითხრათ, თუ უღმრთო მეფეთა და მათთა შთამომავალთ რა დღე მოელის. ყური დამიგდეთ: წინასწარმეტყველმა აქიოსმა ჰრქუა იერობოამს: „თაყვანსა სცემდი ღმერთთა უცხოთა და ამისათვის გვარეულობა შენი აღიგვება პირისაგან მიწისა“. წინასწარმეტყველმა ილიამ აი, რა უთხრა აქავსა: „აღვგვი პირისაგან მიწისა გვარსაცა შენსა, ვითარ აღვგავე გვარი იერობოამისა“. ოდეს ელისემ იიუს სცხო ზეთი სამეფოდ, ჰრქუა მას:—აქავის გვარი სულ მთლად ამოეწყვიტა. თქვენებრ ცოდვილი იყო იიუ ღვთისა წინაშე, მაგრამ-კი რისხვა ღვთისა და წყევა იყო მისს ხელში. ახლა-კი ვგონებ, ნათელია ღვთის სამართალი: უფრთხილდით მხოლოდ, ვინც ექმნებით მას იარაღად! ორპირი არის მისი მსჯავრი, სჭრის ორთავ მხარეს: ვაი იმასა, ვინც ხელს ჰკიდებს გაუმაძღრობით, მას უპირველეს მიეწყობა სიკვდილი ცივი! და ვაი იმას, აზრადა აქვს ვისც ამაღლება, მას რისხვა ღვთისა მეხისავით თავს დაატყდება! ვაიც იმასა, ვინც ან მტრობით, ან შურით მიდის,—ან ურწმუნობა, ან ბოროტი რამ საზარელი აღარ ასვენებს და აღძრულა უნდობის გულით! ეს არის დარიგება, მეტს ნურას ელით! (ისევ სიარულს იწყებს).

(ხანგრძლივი სიჩუმე)

რუტვენი. უწინ, როდესაც კათოლიკეთა მღვდელს მიჰმართავდნენ ხოლმე, დამშვიდებულნი და დაკმაყოფილებულნი ბრუნდებოდნენ უკან. შენ კი ქვას იძლევი პურის მაგიერ. სჯობს ისევ შინ დავბრუნდე.

ლინდსეი. არა! ამ სიტყვებმა უფრო გამამაგრა: თითქოს მახვილს ხელში მაძლევდნენ! ვინ იცის, იქნება კიდეც დავიღუპო, იქნება ჩემი სულთა სწრაფვაც არ იყოს ისე უმწიკვლო, მაგრამ კაცისათვის ხომ, ვგონებ, ეს შეუძლებელია; როდესაც ღვთის სამართალი ამას მოითხოვს, ყოველი კაცი ვალდებულია შეასრულოს იგი!

რუტვენი. მაშ თუ აგრეა, ნოქსის სიტყვები, სჩანს, კარგად ვერ გამიგია.

მორტონი. მეც ისრე ვგონებ, რომ ნოქსის სიტყვა ორპირადა ჰკვეთს; მაგრამ რა ვუყო, ჩვეულება მე ასეთი მაქვს: სიტყვას რომ კარგად ვერ გავიგებ, საქმესა ვრჩეობ. ნოქსი ხომ თვითონაც მონაწილეობას იღებს.

რუტვენი. არა, ნოქსი ჩვენთან არ წამოვა.

მორტონი. რასაკვირველია, ხმლით არ გამოვა,—იგი მშვიდობიანობას ჰქადაგებს ხალხში. მაგრამ მაინც ხომ ჩვენკენ არის. (კარების კაკუნი ისმის).

ყველანი. მურრეი!

გამოსვლა III.

იგინივე. მურრეი („ჰლაჩმაა“ გაშვებულ. შესვლისთანავე გადახდის).

მორტონი. აი, მურრეიც!

ლინდსეი. ახლა თუნდა ათასი კაცი მოგვმატებოდეს შოტლანდიაში! ახლა-კი დავმშვიდდი! კეთილი იყოს თქვენი მოსვლა! (გაექანება და გადაეხვევა, აგრეთვე მორტონიც).

მურრეი. გამარჯვებათ, მეგობრებო! (რუტვენს) ავად ხარ რუტვენ?

რუტვენი. იქამდის ძლიერად, რომ შენმა მოსვლამაც-კი ვერ გამამხიარულა! კეთილი იყოს შენი შოტლანდიაში მოსვლა! (ერთმანეთს გადაეხვევიან). მაგრამ აქ ყველა კარგად ვერ არის!

მურრეი. უკეთესი დროც მალე დაგვიდგება! (ნოქსს დაინახავს და მივა მასთან). დამლოცეთ, მამაო!

ნოქსი. (თავზედ ხელს დაადებს). სარწმუნოება მტკიცე და ხასიათი მაგარი მოგცესა ღმერთმა! მოგიტევოს ყოველნი შენნი შეცოდებანი!

ფარდა. დეკორაციები გამოიცვლება. დასასვენებელი კაბინეტი მარიამ სტიუარტისა.

გამოსვლა IV.

(იმ დროს როდესაც ფარდა ახდება

⁂ ტფილისის გუბერნიის ბეითალოთა კრება ამ დღეებში დასრულდა. კრების დადგენილებანი საქონლის გადაყვან-გადმოყვანის შესახებ წარუდგინება განსახილველად კავკასიის საბეითალო გამგეობას.

⁂ შაბათს, 28 აპრილს, მიწადმოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის კანცელარიაში მიკოლოგი ნ. ნ. სპეშნევი წაიკითხავს ლექციას ხეხილისა და ვაზის სენის შესახებ.

⁂ ხვალ, 28 აპრილს, საბჭოს დარბაზში ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთა კრება მოხდება საპენსიო კასის შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ დღეს, პარასკევს, საღამოთი, ქალაქის გამგეობასა, საფინანსო კომისიას და აქაურ ბანკების წარმომადგენელთა სხდომა ექმნებათ ქალაქის მე-3 საობლიგაციო სესხის განაღდების შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ 24 აპრილს ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიას სხდომა ჰქონდა. კომისიამ დააჯარიმა უსახელო საზოგადოება სხვა-და-სხვა უწესრიგობისათვის და დაადგინა მოსთხოვოს ბ ნ რობის განმარტება იმის შესახებ, თუ რისთვის ამუშავებს მეეტლეებს ზუზუიან და დაგლეჯილ ტანისამოსით, რამდენი ვაგონი აქვს ცხენის რკინის გზაზედ და სხვანი.

⁂ ქალაქის გამგეობას დაუდგენია ქალაქის სხვა-და-სხვა შემოსავლის მოიჯარეების უფრო რიგიანად მოსაწყობად დაავალოს სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებს, რომ ყოველგვარი ანგარიშის წიგნები წარადგინონ ქალაქის საბუღალტეროში სამს თვეში ერთხელ.

⁂ ტფილისის სამკურნალო გამგეობაში რამდენიმე კაცს განცხადება შეუტანია, რომელშიაც თხოულობენ ტფილისში ახალ აფთიაქების გახსნის ნება-რთვას.

⁂ ს. დვალიშვილები (ქუთ. მაზრა). ამ დღეებში აქ შემდეგი მკვლელობა მოხდა: ორმა ძმამ დვალიშვილებმა თავისივე ბიძაშვილი გაიტყუეს თურმე ტყეში და ასე გატყუებით მოჰკლეს, რადგანაც ჰგონებოდათ, ჯიბეში 500 მანეთზედ მეტი ექნებოდა. ბოროტ-განმზრახველებს იმედი არ გაუმართლდათ და მოკლულს მხოლოდ 50 მანეთი აღმოაჩნდა. გამოძიება სწარმოებს.

⁂ როგორც სადგურ ბარგუშეთიდგან გვატყობინებენ, 24 აპრილს ორთქლ მავალი № 175 ლიანდაგიდგან გადავარდნილა და გზა შეუკრავს. გზა მეორე დღეს 25 აპრილს, გაუნთავისუფლებიათ.

⁂ სამტრედია. 25 აპრილს, საღამოს 5½ საათზედ, მუშაობის დროს მძიმედ დაშავდა მუშათა ზედამხედველი კოვალჩიკი. დაშავებული რკინის გზის ტფილისის საავადმყოფოში გაგზავნეს.

⁂ პოლიციის მე-7 ნაწილში, 24 აპრილს, ჩხუბის დროს ბალდან მირაბოვს დაუჭრია დანით მიხეილ თეხარანოვი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი შემწეობის აღმოსაჩენად.

◆ ◆

წერილი აფხაზეთიდგან.

ხშირის წვიმების გამო შარშან აფხაზეთში ცუდი მოსავალი იყო, ასე რომ, თუ სხვა წლებში მილიონზედ მეტი ფუთი სიმინდი გაჰქონდათ საზღვარ გარეთ, წელს ამისი ნახევარიც არ გავა. ბევრს სარჩოც არა აქვს და ეხლავე ჰშიოდულობს. სხვათა შორის, გვარიანი მოსავალი იყო ცნობილს მამულს „გიძე ეწერში“, რომელიც ბელგიის ამხანაგობას ეკუთნის. წინად ეს მამული აფხაზეთის მთავრიშვილის საკუთრება იყო. ბელგიის ამხანაგობისაგან იჯარით აიღო ათიოდე წლის წინად სბ. ნარაკიძემ. ამ მამულს ამუშავებენ დროებით გადმოსახლებული მეგრელები. საერთოდ-კი ყველა კერძო მამულებს აფხაზეთში მეგრელები ამუშავებენ, მაგ. შერვაშიძეებისას, ჩქოტუებისას და სხ. მაგრამ... მაგარი ის არის, რომ მეგრელების ცხოვრება იავარდით არ არის მოფენილი აფხაზეთში. ვისაც საქმისა რაიმე გაეგება და მეგრელებს დაახლოვებით იცნობს, (და არა ისე როგორც პალმი!) სინიდისის წინაშე მოვალეა ამ დაჩაგრულს უმიწა-წყლო ხალხს ქომაგობა გაუწიოს. მეგრელები რომ შევიწროებულნი არ იყვნენ უმიწობით, თავიანთ მიწა-წყალს არ მიატოვებდნენ და აფსაზეთის ჭაობებში არ გადმოცვივდებოდნენ, სადაც ბუნების სიმკაცრესთან ერთად ადამიანთა უკუღმართობასაც ებრძვიან და მათ და სასახელოდ სხვებზედ უკეთესად კიდევ ისინი რჩებიან გამარჯვებულნი.

ბევრჯელ თქმულა და საქმითაც დამტკიცებულა, რომ რუსეთიდგან გადმოსახლებულნი აქაურს ჰავას ვერ იტანენ. აქაური მალარია მალე უწამლავს ცხოვრებასა და წუთის სოფელს ასალმებს. ასეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ბოლგარელები და ესტონელები, რომელთა ნახევარიც ისრევე გადაბარგდა აქედგან. სულ სხვაა მეგრელი, თუ დედა არა, არც დედინაცვალია მისთვის აქაური ჰავა (ე. ი. ახლო ნაცნობია); მხოლოდ რაც შეეხება მეგრელების უკულტუროსნობას და სხვების კულტუროსნობას, ეს-კი სასაცილოა სწორედ, სამწუხარო რომ არ იყოს!.. მე არ ვფიქრობ აქ, შავის ზღვის პირად, სუ ყველა არტისტები და რედაქტორები გადმოსახლდნენ, მაგრამ გლეხი კი, თუ განათლება არა აქვს მიღებული, ყოველგან გლეხია და ბეგი არ არის, არც ჩვენ მოკიყანეთა გლეხია ციდან ჩამოსული ანგელოსი; თუ ასეთს გლეხს ერთი რამ ღირსება აქვს, მეზვე არ არის, მასთან ორი და მეტი ნაკლულევანება სხვა ექმნება. ამათთვის განათლება ან სხვა რამე ამ ნაირი იარაღის ხელში მიცემაა საჭირო და არა წითელ კვერცხებივით გაცვლა-გამოცვლა, თუ მართლა გული ვისთვისმე შეგვტკივა და მხოლოდ სიტყვებს არ ვატკაცუნებთ უქმად. ნუ თუ მეგრელს გლეხს ადარც ერთი ღირსება არა აქვს და ესტონელი კი, აქაო და ჩვენში გადმოსახლდება, ყოველის ღირსებით შემკობილია? რასაკვირველია, გვიპასუხებს თუ უკუღმა გაბრძნობილს პალმს დავუჯერეთ, მაგრამ პალმი და ჭეშმარიტება ხომ ერთი და იგივე არ არის, რომ მისი ნათქვამი ყველამ ირწმუნოს! მაგრამ ვინ იცის, იქნება აქაც თავგამოფშუტული მასხარობა იყოს მიზეზი?!

გიმეორებ, მეგრელები უმიწობით შევიწროვებულნი არიან და თუ რამე ჩამორჩენიათ მათს მეზობელ ადგილ-მამულებს, უმალ მათ უნდა დაეთმოს, რასაც მართლის მოყვარე მთავრობას მხურვალედ შევთხოვენ და მოველით კიდეც მოწყალებას.

კ. გვასალია

◆ ◆

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისის ლორდთა პალატამ მეორედ წაკითხვის შემდეგ მიიღო ამ დღეებში კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ საშუალო სასწავლებლებში სამხედრო განათლება იქმნეს შეტანილი. კანონ პროექტის თანახმად, ფიზიკურ აგებულობისა და სუსტის ჯანმრთელობის გამო უვარგისად ცნობილთა გარდა ახალგაზრდა მოსწავლეები ყველანი მოვალენი იქმნებიან სამხედრო სწავლაც მიიღონ, სახელდობრ, იცოდნენ თოფისა და სხვა იარაღის ხმარება და სხ. სათამაშო წესები; ხოლო სრულ წლოვანობისას შეითვისონ აგრეთვე ელემენტარული ცოდნა სამხედრო ხელოვნებისა იქამდის, რომ გაჭირვების დროს შეიძლონ სამშობლოს მფარველობა გაუწიონ. კანონ პროექტით განზრახულია 10 შილლინგი დაუნიშნოს ყველა ახალგაზრდას, 17 წლისაზედ ნაკლებს, თუ რომ იგი საკმაოდ რიგიანს ცოდნას გამოიჩენს სამხედრო საქმეში. სამხედრო მინისტრის ამხანაგმა ლორდმა რეგლანმა განაცხადა პალატაში: მთავრობას კარგად ესმის, თუ ახალ გაზრდობის მიერ სამხედრო დისციპლინის შესწავლას რა დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ პროექტის განხორციელებას ხარჯი ერთობ დიდი სჭირდება და ამასთანავე ფრთხილად და ყურადღებით უნდა იქმნეს იგი შემუშავებული. თავისუფად მეომართა რიცხვმა ამ ბოლოს დროს ძლიერ იმატა და თუ ამის შემდეგაც ასრევე იმატა, ეჭვი არ არის, ინგლისს მალე ბლომად ეყოლება საკმაოდ გაწვრთნილი ჯარი და იქმნება მეტიც, ვიდრე ამას სამშობლოს დაცვა მოითხოვს. ამისა გამო მთავრობას კანონ-პროექტის მოწონება არ შეუძლიან. ამ საგნის შესახებ წარმოთქმულ რამდენისამე სიტყვის შემდეგ სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა განაცხადა, რომ კანონ პროექტს მეორედ წაკითხვის შემდეგ იგი იღებს, მაგრამ იმ შენიშვნით, რომ პასუხის გებას აღარ კისრულობს— კანონ პროექტს ამის შემდეგ რა მოელის.

— ინგლისის საადმირალომ ამ დღეებში საყურადღებო ცნობები გამოაქვეყნა იმის შესახებ, თუ ინგლისსა, გერმანიასა, საფრანგეთსა, რუსეთსა, შეერთებულ შტატებსა, იტალიასა და იაპონიის როგორი ფლოტი ჰყავთ, რომელი გემი როდის არის აშენებული, როგორი მოწყობილება აქვს და სხ. როგორც სამართლიანად შენიშნავს „Hamb. Nachr.“-ნი ყოველივე ეს ინგლისს მესანიშნავად შეუკოწიწებია: წინადაც ყველასათვის ცხადი იყო, რომ მეტი ნაწილი ინგლისის ფლოტისა მხოლოდ ქაღალდზედ არსებობდა და ნამდვილად კი არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ძალიან ხშირად მოაგონებდა ხოლმე მთავრობასა და საზოგადოებას ადმირალი ბერესფორდი, რომ ბრიტანიის ფლოტის სამხედრო გემების უმეტესი ნაწილი ძველის ტიპისა იყო და ასეთისავე ძველი ზარბაზნებით შეიარაღებული; ამისათვის იგინი მხოლოდ მეორე რეზერვს თუ მიეწერებიანო. მეორე კრი-

---

მარჯვნივ სიცილი და ესპანიურის სიმღერის ხმა ისმის. მარცხნივ სცენაზედ ვახშმისათვის მოწყობილს მაგიდას შემოაგორებენ. შემოდიან პაჟები და თავთავისს ადგილს იჭერენ. მარჯვნივ შემოდიან დედოფალი და სტიუარტი ხელ-ხელს გაყრილნი, გრაფინია არკაილიდა კაპიტანი ერსკაინი და რიჩჩიო მარტოდ).

დედოფალი. ამ სიმღერას კარგი ღვინო უთუოდ მოუხდება. (შებრუნდება პაჟებს, როდესაც სხვები თავიანთ ადგილებზედ სხდებიან). ეს ის კვიპროსის ღვინოა, ესპანიის მეფემ რომ გამოგვიგზავნა?

ერთი პაჟთაგანი. დიაღ, თქვენო უდიდებულესობავ!

დედოფალი. მთელს ქვეყანაზედ სანაქებო ღვინოა!

სტიუარტი. მაშ თუ აგრეა, მოთმინება აღარა მაქვს, მინდა ჩქარა ვუგემო!

გრაფინია. იმ სულთანივით, რომელმაც თვრამეტი ათასი მეომარი გასწირა, რომ ასეთი ღვინო ეშოვა, არა!

სტიუარტი. კარგი ღვინო დღესასწაულობის დასაწყისს წააგავს, იგი ირგვლივ სიხარულსა ჰფენს, ყველას გულს უშლის.

გრაფინია. კარგი ღვინო, მოსწრებულ სიტყვასავით, კიდეცა სწვავს და კიდეც ანათლებს ადამიანის გონებას.

დედოფალი. კარგი ღვინო წვიმის ცვარზედ მოკაშკაშე მზეს წააგავს,—იგი ნიშანია უსაზღვრო სიხარულისა.

გრაფინია. კარგი ღვინო ჩვენს ოცნებას ალთქმის ცისარტყელასავით ამკობს და ამშვენიერებს.

სტიუარტი. კარგი ღვინო მუსიკასა ჰგავსო, ამბობს რონსარი. იგი მთელს ჩვენს არსებას საამურ ჰანგებივით ეფინება.

დედოფალი. კარგი ღვინო სასიამოვნო და ტკბილს საიდუმლოსა ჰგავს; იგი მუდამ რაღასაც ჩაგვჩურჩულებს, გულსა გვიხარებს.

გრაფინია. იგი ქებასა ჰგავს,—ძალასა გვმატებს.

სტიუარტი. ან კიდევ შურისძიებას—და ძალას გვაკლებს.

დედოფალი. (ასწევს ჭიქას). პირველი ჭიქა ცხენზედ შეგვსვამს ხოლმე სამხიარულოდ.

გრაფინია. (იგიც აიღებს ჭიქას). მეორე ირგვლივ მშვენიერს სანახაობას გვიხატავს.

სტიუარტი. (ესეც ჭიქით ხელში). მესამე-კი უნაგირიდამ გადმოგვაბრძანებს ხოლმე!

დედოფალი. ასეთის შედარების შემდეგ რომ ღვინოზედ სრულიად უარი ვთქვათ, სწორედ სჯობიან. (ჭიქას მაგიდაზედ დასდგამს. სხვებიც მისს მაგალითს მიჰბაძავენ).

გრაფინია. (სიცილით). მაგრამ თვით დედათ-დედა ევაც კი ვერ იტყოდა ასეთს უარს.

რიჩჩიო. განა მეტად გაზვიადებული არ იქნება, რომ ამას უარისყოფა დავარქვათ?

გრაფინია. არა, რიჩჩიო, ხშირად მცირე რისამე უარყოფა უფრო გვიძნელდება, ვიდრე დიდისა.

დედოფალი. იქნებ რიჩჩიოს თვითონაც ჰქონდეს გამოცდილი, დეე აგვიხსნას, რასა ჰნიშნავს უარყოფა.

რიჩჩიო. თქვენო უდიდებულესობავ...

სტიუარტი. მაგრამ მალე-კი.

გრაფინია. სიტყვებისათვისაც ხომ ისე შორს წასვლა არ არის საჭირო, როგორც ამ ღვინისათვის.

დედოფალი. რა არის უარ ყოფა აბა რიჩჩიო?

რიჩჩიო. ჰმ! ჩემის აზრით, ეს ის არის, რომ კაცმა სულით და გულით მისასწრაფებელს საგანზედ უარი სთქვას. (ყველანი იცინიან).

სტიუარტი. რომელს სკოლაში უსწავლია რიჩჩიოს ნეტავ?

დედოფალი. ტურინისაში; მაგრამ განმარტება-კი, ვგონებ, პიემონტიდგანა აქვს ნასესხები.

რიჩჩიო. (ღვინოზედ უჩვენებს). მე სახეში მხოლოდ ის საგანი მქონდა, რომელსაც აგერ თვალით ვუცქერით, მახლობელია.

დედოფალი. ან რომელიც ჩვენ გვერდით არის, არა?

რიჩჩიო. თუ მე მკითხავთ, ყველაზედ უმძიმესი უარყოფა-კი ის გახლავთ, როდესაც კაცი თავს იმაგრებს და თავისს საკუთარს ბოროტს სხვას არ უზიარებს.

სტიუარტი. ბ-ნი რიჩჩიო ახლა შურისძიებაზედ უარის თქმასა ჰგულისხმობს.

რიჩჩიო. არა. იშვიათადა ვგრძნობ ხოლმე იმ სურვილსა, რომ მოხიშტეს ხიშტი დავუბრუნო; და ეს-კი ვიცი,—სხვას გადავცემ მომართულს ნაკრავს.

სტიუარტი. არა, პირიქით!

სხვები. დიაღ, აგრეა!

დედოფალი. შურისძიებაც კარგს ღვინოსა ჰგავს, მაშ გავათავოთ შედარება. აბა დავლიოთ! (ყველანი ჭიქებს აიღებენ).

დედოფალი. (სვამს). რიჩჩიო-კი მაინც უარის თქმას უნდა შეურიგდეს. (სხვებიცა ჰსვამენ). მე ამ ღვინოზედ უკეთესი არსად მინახავს!

სტიუარტი. Charmant! (მშვენიერება რამ არის!)

გრაფინია. Magnifique! (საუცხოვოა!)

დედოფალი. მართლაც და რიჩჩიოს როდი დაულევია! ხა! ხა! ხა! თქვენ, ჩემო მეგობარო, ჩემი ლაპარაკი სულ სხვა რიგად გაიგევით.

გრაფინია. მაგრამ გახსოვდეთ, დედოფალო, რომ უარყოფის სადღეგრძელო სჯობს ასე დაილიოს.

დედოფალი. მერე, განა ჩვენ უარყოფის სადღეგრძელო დავლიეთ და არა შურის გებასა?

სტიუარტი. დიაღაც შურისგებისა, მშვენიერის შურისგებისა.

რიჩჩიო. შურის გება შეიძლება ტკბილი იყოს, მაგრამ მშვენიერი-კი არასოდეს.

დანარჩენნი. არა ტყუილია!

დედოფალი. შურისძიების სილამაზე—ოჰ, რომ შეიძლებოდეს ცოცხალს რასმეს შევადარო—ეს ბოტველის სილამაზეა! შურისძიება და ბოტველი—ორივ ერთია!

დანარჩენნი. მაგრამ ბოტველი რომ სახით ლამაზი არ არის!

დედოფალი. ბოტველი?.. არის სილამაზე, რომელსაც შეიძლება საშიშარი დავარქვათ და ბოტველს-კი სწორედ ასეთი სილამაზე აქვს.

გრაფინია, ესე იგი, დამახინჯებული სილამაზე?

დედოფალი. დიაღ აგრეა, გრაფს ბოტველს ცალი თვალი აქვს, მაგრამ ეს ამთავრებს იმის სახის მშვენივრებასა მისსა მრისხანედ და სასტიკად მეტყველს სახეზედ თითქოს ბუნებას საიდუმლო რამ აღუბეჭდავს, რომლისა აზრიც უნებურად ატყვევებს ყველას. ათასსა გვარსა მითქმა-მოთქმას, მასთან განუყრელს, ცნობის მოყვარეთ გუნდი მისთვის გარს შემოურტყავს. მაგრამ იმისი ხასიათი ფიცხი, სასტიკი ყველასა ჰზარავს და ახლოდაც არავის იკარებს; ყველას აკვირვებს სითამამე მისის აზრების,—ხან სწვავს ცეცხლივით და ხან-კია აზრობს, ვით ყინვა... აი, რა არის მშვენიერება გრაფის ბოტველის!

(შემდეგი იქნება)

ტიკოსი, უაიტი, კიდევ შეჰნიშნავს თავისს წიგნს „Efficiency and Empire"-ში, რომ საადმირალოში ჯერ, მართალია, გამორიცხა სიიდგან ყველა ძველი გემები, რომელნიც უვარგისად იქმნენ ცნობილნი და თავისი დრო დიდი ხანია მოიჭამეს, მაგრამ მერე-კი ისევ ჩაურთო თვალების ასახვევად, რომ ქაღალდზედ ინგლისის ფლოტი ყველა სხვა ფლოტზედ უძლიერესი გამოსულიყო. თავისს დროზედ საადმირალომ არც ერთსა და არც მეორეს პასუხი არ გასცა, მაგრამ ახლა თითონაც ადარა ჰმალავს და გულ-ახდილად აღიარებს, რომ ინგლისის ფლოტი ბევრად ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე ეს ზემოდ დასახელებულმა კრიტიკოსებმა აღნიშნეს. ასე, მაგალითად, აწ მომქმედ გემების სიაში მოქცეულია ისეთი გემებიც, რომლებიც 20—30 წლის წინად არის აშენებული და მას შემდეგ არც არავის შეუკეთებია, არც არავის გადაუკეთებია. სამი ამათგანი სამოცანს წლებშია აშენებული. მერე ყველა ეს 14 გემი ძველის, წინიდგან სატენ ზარბაზნებით არის შეიარაღებული. მაგრამ ყველაზედ სასაცილო-კი ის არის, რომ დიდი ბრიტანია, რომლის ფლოტიც დიდი ხანია სახელგანთქმულია და უძლიერესად ითვლება, ერთად-ერთია სხვა სახელმწიფოთა შორის, რომელსაც ამდენი ძველი და უვარგისი გემი აქვს ამ ჟამად. პატარა იაპონიის სულ უძველესი გემი მხოლოდ 15 წლისაა. უძველესი გემები გერმანიისა 1877—1880 წლებშია აშენებული. რუსეთს მხოლოდ ერთი ძველი გემი აქვს და ისიც მხოლოდ 1886 წელს არის აშენებული, ე. ი. 15—16 წლისაა. საფრანგეთის ფლოტში მხოლოდ 4 გემია 20 წლისა და უძველესი ამათგანი მაინც 13 წლით გვიან არის აშენებული, ვიდრე ინგლისის ძველი გემები. მეორეც კიდევ, არც ერთს ამ სახელმწიფოთაგანს ადარა აქვს ისეთი ზარბაზნები, როგორიც ინგლისსა აქვს: რომ მათებრ წინიდგან იტენებოდნენ. და აი, იმ დროს, როდესაც ინგლისს ფლოტი ასე უყურადღებოდა აქვს დატოვებული, საფრანგეთმა თავისები მთლად გადააშენა და ახალის ზარბაზნებით შეაიარაღა. მხოლოდ ერთად-ერთი იტალია-ღაა ამ ჟამად ინგლისსავით ჩამორჩენილი. თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერი ფლოტი ჰყავს შეერთებულს შტატებს; სულ უძველესი მათგანი 1892 წელს არის აშენებული. და ინგლისს კი მაინც უძლიერეს სახელმწიფოს სახელი აქვს გავარდნილი ზღვაზედ.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

ამ რამდენისამე ხნის წინად პოლონელთ ქალაქ ლვოვში პოლონურს ენაზედ წარმოდგენების გასამართავად აუშენებიათ სახალხო თეატრი, რომელიც ორ მილიონ მანეთზედ მეტი დამჯდარა. პროექტი და გეგმა შენობისა გორგოლევსკის შეუდგენია. ამ თეატრის აგებაში პოლონელთა საუკეთესო ხუროთ-მოძღვრებმა, მხატვრებმა და მექანდაკეებმა მიიღეს მონაწილეობა; დიდი შრომა და მეცადინეობა მოანდომეს თურმე მათ თეატრის გამშვენებას. ფარდა შესანიშნავ მხატვარს ჰენრიხ სემირადსკის დაუხატნია.

* * *

საკვირვლად განკურნებულა ამას წინად ერთი ცალი თვალით უსინათლო 14 წლის ბავშვი. ეს ბავშვი მარსელში მისულა თავისს დედ-მამასთან ერთად. სადგურზედ ჩხუბი აუტეხნია ერთ ბარგის დამტარებელთან, რომელსაც ლაპარაკის დროს უცაბედად თუ განგებ მაგრა დაურტყამს ავადმყოფ თვალში. მალე თვალი დასსივებია და დაჰლურჯებია. დედ-მამას ძალიან შეჰშინებია და ავადმყოფისთვის თვალი აუხვევია. როდესაც შემდეგ აუხსნიათ თვალი, გაოცებულ დედ-მამისთვის ბავშვს გამოუცხადებია, რომ კარგადა ვხედავ ეხლაო. თვალი რამდენიმე წელიწადია თურმე წაჰხდენია ბავშვს და მკურნალებს ვერ მოურჩენიათ.

* * *

21 აპრილს (ახალის სტილით) ქალაქმა რომმა იდღესასწაულა 2,652 წელი თავისს არსებობისა. რომი ყოველ წელიწადს დღესასწაულობს დაარსების წლის თავს. როგორც ჩვეულებრივადაა მიღებული, ამ დღეს დილით კაპიტულისა და წმიდა ანგელოზის კოშკებზედ დროშები აფრიალეს, ხოლო საღამოთი ეს კოშკები გაახირაღდნეს. ამავე დღეს ყველა სასწავლებლის მოსწავლეებმა მუსიკითა და სიმღერით ეგრეთ წოდებულ „საუკუნო ქალაქისაკენ" გაისეირნეს.

* * *

ვენაში დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ ხმამ, რომ პარლამენტის დეპუტატი, გვარად კემპი, წინად ყაჩაღობასა და ძარცვა-გლეჯას მისდევდა შარა-გზებზედ. კემპს 10 გლეხისაგან მძარცველთა ბრბო ჰყოლია. ეს ბრბო, დღევანდელ დეპუტატის წინამძღოლობით, შუა გზაში აჩერებდა მგზავრებს, ფულს ართმევდა, აწვალებდა და სცემდა. ამ ხმის გავრცელებისათანავე კემპი სადღაც დამალულა.

* * *

შემდეგ ამბავს გადმოგვცემს ერთი გაზეთი ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის კრუკის შესახებ. ამას წინად მეცნიერთა ერთ კრებაზედ, როდესაც კერძო ლაპარაკი ჩამოვარდნილა იმის შესახებ, თუ სამეცნიერო შრომისათვის რა გვარი ცხოვრებაა საჭირო, კრუკს სრულიად შემთხვევით უთქვამს: „მე ძალიან თავ-დაჭერილად ვცხოვრობ: არასოდეს არ დამილევია მაგარი სასმელები, არ მიკოცნია ქალისათვის და არც ვისმეს მოვხვევივარო". ეს სიტყვები პროფესორისა ერთ გაზეთს დაუბეჭდია და მეორე დღეს დეპეშით შეერთებულ შტატების ყველა ქალაქში გადაუციათ. ეხლა ამერიკული გაზეთები მთელ სვეტებს ანდომებენ პროფესორს კრუკს; იმის შესახებ მთელი ამერიკა ლაპარაკობს თურმე. ეს პროფესორი ამ ჟამად 37 წლისაა. საშინლად გაოცებული და განცვიფრებულია თურმე პატივცემული პროფესორი, არ ეგონა, თუ შემთხვევით წარმოთქმული უმნიშვნელო სიტყვები ეგრე გაუთქვამდნენ სახელს. ყოველ დღე კრუკს ამერიკის ყველა კუთხიდგან წერილები მოსდის თურმე, ბევრნი აქებენ პროფესორის ხასიათსა და ცხოვრებას, ბევრნი კიდევ დასცინიან. განსაკუთრებით აუარებელი წერილები ქალებისგან მოსდის; ზოგნი ატყობინებენ, სიამოვნებით მივსთხოვდებით თქვენისთანა თავდაჭერილს კაცსაო. საჭიროა მოვიხსენიოთ: ქალებმა პირველ დღესვე შეიტყეს, რომ პროფესორი უცოლო კაცი იყო.

* * *

ერთი პოლონური გაზეთი შემდეგს ამბავს გადმოგვცემს. ერთ ოჯახში ახალგაზრდა ქალი რამდენსამე წელიწადს მოახლედა ყოფილა. თუმცა ამ ორი თუ სამი თვის წინად მოახლე გათხოვილა, მაგრამ წინანდელ ქალბატონთან მაინც ხშირად დადიოდა. ერთ წვიმიან დღეს, როდესაც იმათ სახლიდგან გამოსულა, ეზოს კარებთან ეზოს დარაჯი დაჰხვედრია, რომელსაც ძეძუთი ბავშვი გაუშვერია და უთქვამს, წაიყვანე თან, ეს არის ეხლა კარებთანა ვნახე დაგდებულიო. ქალს არ ჰნდომებია ბავშვის წაყვანა, მაგრამ დარაჯს შეუშინებია, პოლიციაში წაგიყვან, ვეტყვი, რომ შენი ბავშვია და შეგარცხვენო. შინ დაბრუნებისას, ქმართან მოლაპარაკების შემდეგ, ქალს ბავშვი თავ-შესაფარში წაუყვანია, მაგრამ იქაც არ მიუღიათ. ამ რიგად ახალგაზრდა მეუღლეთ თავისდა უნებურად ბავშვი შერჩენიათ. საღამოზედ ქალს გაბანება მოუსურვებია. როდესაც ჩვრები მოუხსნია, შიგ კონვერტი უნახავს, გაუხსნია და გაოცებულ ქალს პირი დაუღია: კონვერტში სამი ათასი მანეთი, რაღაც ნივთები და წერილი იდო თურმე. წერილში სთხოვდნენ ბავშვისთვის მოეარათ და ამას გარდა შეენახათ ნივთები, რომ შემდეგ იმათ წყალობით დედას ბავშვი ეპოვნა და უკანვე დაებრუნებინა. გახარებულ ღარიბ ცოლ-ქმარს სიყვარულით კოცნა დაუწყიათ ბავშვისთვის.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 აპრილი

პეკინი. ელჩებმა გად-სწყვიტეს ერთობილის ნოტით მიჰმართონ ჩინეთს და აცნობონ, რომ სახელმწიფონი ჩინეთისაგან სულ 450 მილიონ ტაელს თხოულობენ, აგრეთვე ჰკითხონ ის, თუ როგორა ჰფიქრობს ჩინეთი ამ ფულის გასტუმრებას.

სოფია. საერო განათლების მინისტრი სლავეიკოვი უეცრად გარდაიცვალა; მინისტრად ნამყოფი გრეკოვი მძიმედ გახდა ავად.

პეკინი. ელჩთა ერთობლივ ნოტის პასუხს ჩინეთისაგან კვირის გასულს მოელიან. ჩინეთი აცნობებს უთუოდ, რომ ბაჟი იქმნება მომატებული და სამხედრო ჯილდოს იქიდგან გადაიხდიო. ჰფიქრობენ, რომ სახელმწიფონი თანახმანი იქმნებიან ისეთ ღონისძიებათა, როგორიცაა ლიკინის სრულიად გაუქმება, ოქროს ვალიუტაზედ შესატან ბაჟის დაწესება, თავისუფალი ნავოსნობა მდინარეებზედ და ტაკუსა და ვუზუნს შორის ნავოსნობის დამაბრკოლებელ მიზეზთა აცილება. ზოგიერთ ელჩებს არა ჰსურთ მოითხოვონ, რომ მთელი ჩინეთი ღია იყოს ვაჭრობისათვის, რადგანაც მაშინ ჩინეთი მეტად პასუხის-მგებელი იქმნებოდა; ხოლო მართვა გამგეობის ისეთ სისტემის დროს, როგორსაც დღეს ჩინეთის მთავრობა ადგია, შეუძლებელია უცხო ქვეყნელთა დაცვა ჩინეთის ყველა კუთხეში და ამ უცხო ქვეყნელთა უშიშროებისათვის პასუხის-გება.

ბარსელონა. კატალონელებმა ყრილობაზედ პროტესტი გამოაცხადეს ესპანიის ერთიანობის წინააღმდეგ; უწესოებანი მოხდა.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის ფოსტათა დირექციამ განაცხადა, რომ ამიერიდგან უცხო ქვეყნის ფოსტამტების სახელზე გაგზავნილ საპალნეებს ოსმალეთის მოხელენი გახსნიან და გაუგზავნიან პატრონებსაო. ამ ამბავმა ელჩთა უკმაყოფილება გამოიწვია; ეხლა ფოსტათა დირექციამ გამოაცხადა, რომ საპალნეები გაეგზავნებათ ფოსტამტებს, მაგრამ ამ ფოსტამტებიდგან ევროპაში გასტუმრება აღკრძალული იქმნებაო.

ვენა. დეპუტატთა პალატამ მიიღო წინადადება იმის შესახებ, რომ ჰერც-ჰერცოგის ფრანც-ფერდინანდის შვილებს, რომელნიც გრაფინია ხოტეკთან ქორწინების შემდეგ ეყოლება, ტახტის მემკვიდრეობის უფლება არ ექმნებათ.

მოსკოვი. საერო განათლების მინისტრი აქ მოვიდა. მინისტრმა მაშინვე მზრუნველი მიიღო, რომელსაც დიდხანს ესაუბრა. ნაშუადღევის 3 საათზედ მინისტრი მივიდა უნივერსიტეტში, სადაც შეიკრიბნენ პროფესორები, რექტორი და მზრუნველი. აივანზედ, შესვლისა და გამოსვლის დროს, სტუდენტები დახვდნენ, მინისტრმა მიჰმართა მათ და სთქვა, რომ თქვენ სახელმწიფოს იმედად და ნუგეშად გცნობთო, ამასთან სთხოვა სწავლას მიჰყონ ხელი. სტუდენტებმა დასჯილ ამხანაგებისათვის სთხოვეს მინისტრს; მინისტრმა მიუგო, რომ ხელმწიფეს უფრო მოსიყვარულე გული აქვს, ვიდრე ყველას ჩვენ ერთად, მაგრამ საჭიროა თავიანთის ყოფა ქცევით სტუდენტებმა დანაშაული მოიშორონო.

26 აპრილი

კაპშტადტი. ტრანსვაალში ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით დიდი ბრძოლაა ამ ჟამად; ბურები ძლიერ ზარალობენ; მოკლულ იქმნა 40 კაცი, დაიჭრა 200, დაემორჩილა ინგლისელებს 160 კაცი; ინგლისელებმა ჩაიგდეს მრავალი საბუთის ქაღალდი, ბანკის ბილეთი, 220 ურემი და 9,000 ცხენი. ბურთა ჯარშია, როგორც გაზეთებს ატყობინებენ, დიდი შიში და უწეს-რიგობა.

პრეტორია, იმ ჯარს, რომელიც როოსენეკალისა და ტოტესბურგის ოლქების გავლის შემდეგ, მიდლბურგიდგან ბელფასტში მოვიდა, გზაში მხოლოდ ერთი ცხარე ბრძოლა ჰქონდა მაშინ, როდესაც სდევნიდა ბურებს სამალავებიდგან, სადაც ისინი თავიანთ ოჯახის წევრებს ჰმალავდნენ. ბოტამა და ვილიენმა შეაერთეს თავიანთი ჯარები, მათ კრონიენა უწინავთ.

რომი. ცანარდელიმ განაცხადა სენატში, რომ პარლამენტს მივმართავ გააგის კონფერენციის იმ დადგენილებათა დასამტკიცებლად, რომელნიც არ არიან წინ დახვედრილნი იტალიის აწ არსებულ კანონშიო.

პეკინი. იმ ნაღიმზედ, რომელიც გენერალმა გეზლიმ ამერიკელ აფიცრების პატივისცემად გამართა, ჩაფფიმ სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: „დღევ პოლიტიკის მეფეებმა და მინისტრებმა რაცა ჰსურთ, ის ილაპარაკონ, მე-კი დაბეჯითებით ვიტყვი, რომ ამერიკელები და ინგლისელები არასოდეს ბრძოლის ველზედ პირის პირს არ შეხვდებიან. საერთაშორისო პოლიტიკას შეუძლიან ეცადოს იმას, რომ გვერდით ხუაროს ხოლმე სახელმწიფოთა შორის გამწვავებას, მაგრამ თუ გარემოება საქმეს საარჩევნოდ გაგვიხდის, ჩვენ, რასაკვირველია, ინგლისელების მხარეს დავდგებითო.

კონსტანტინეპოლი. ელჩებმა უკმაყოფილება განაცხადეს საფოსტო საქმეში ძალმომრეობითის მოქმედებათა გამო. აზრადა აქვთ, სასტიკი ღონისძიებანი მიიღონ, თუ ახლო მომავალში დაკმაყოფილებულნი არ იქმნებიან.

სოფია. გრეკოვი გარდაიცვალა.

იოკაჰამა. როგორც სეულიდგან იუწყებიან, იმპერატორი თანხმობას არ აცხადებს იუნინის სინდიკატისაგან სესხის აღებაზედ; ამის გამო საიდუმლო საბჭოს პრეზიდენტი სამსახურიდგან გადადგა.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქმნა საერო განათლების ცირკულიარები. პირველი: იმის შესახებ, რომ წესები ძველ ენებში წერილობით ეგზამენებისაგან განთავისუფლების შესახებ იმ გარეშე კაცთაც შეეხება, რომელთაც ძველ ენებში გამოსცდიან.— მეორე: „ის აუარებელი მასალა, რომელიც სამინისტროს მიერ შეკრებილ იქმნა საშუალო სკოლის შესახებ, ნათლადა ჰმოწმობს, სხვათა შორის, იმას, რომ ჩვენი გიმნაზიები უმაღლეს სასწავლებლებისათვის ხშირად იძლევიან ყურის-მგდელებს ნაკლებად მომზადებულს ისეთ საგნებში, რომელთაც გიმნაზიაში ასწავლიან. განსაკუთრებულ ყურადღებას ამ შემთხვევაში იქცევს რუსული ენა, რადგანაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ იმ თხზულებათა შორის, რომლებსაც გიმნაზიის დამთავრებისა და ატესტატის მიღების დროს აწერინებენ, ბევრი მეტად სუსტია არა მარტო შინაარსით, არამედ გრამატიკულ და სტილისტიურ შეცდომათა სიმრავლითაც, რაიცა მოწმობს იმას, რომ მოსწავლეებს ნაკლებადა აქვთ შეთვისებული გრამატიკის პირველ დაწყებითი წესები და სტილისტიკის მთავარი საფუძვლები. ამ სამწუხარო მოვლენის ერთ მთავარ მიზეზს ის უეჭველი გარემოება შეადგენს, რომ ბევრს გიმნაზიაში მეტად მედგარითაანად ექცევიან მოსწავლეებს სწავლის დამთავრების გამოცდის დროს, ხოლო ეს გარემოება თავისს მხრივ ცუდად მოქმედებს სამოსწავლო საქმის მსვლელობაზედ, ვინაიდგან მოსწავლეებს აჩვევს ზეზეურად მოეკიდონ საგნების შეთვისებას იმ იმედით, რომ გამოცდის დროს ბევრს რასმეს არ მოსთხოვენ. ამის გამო გადებულად ვრაცხ თავს უმორჩილესად გთხოვოთ თქვენო აღმატებულებავ, თქვენდა რწმუნებულ სამოსწავლო ოლქის გიმნაზიების დირექტორთა ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ გამოცდა მოსწავლეებისა შესაფერის ყურადღებით მოახდინონ ხოლმე და შედავათით არ მოექცნენ, რაიცა ცუდად მოქმედებს უმაწვილ კაცებზედ შემდეგში; ამასთან გამოცდის დროს არ უნდა გამოეკიდნენ წვრილმანებს, არამედ დარწმუნდნენ მოსწავლეები რამდენადა აქვთ შეთვისებულნი ყველა საგნის მთავარი და არსებითად საჭირო, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ რამდენად არიან მოსწავლენი მომზადებულნი რუსულს ენაში; მხედველობაში იქონიოთ, რომ ზემო აღნიშნული [illegible] არ უნდა შეიპოვებოდეს იმ უმაწვილ კაცთა თხზულებებში, რომელთაც უმაღლეს სასწავლებლების მეცნიერებათა შესათვისებლად მომზადებულად სცნობენ.

◆

წერილი რედაქციის მიმართ.

გაახლებთ ამასთანავე რაფიელის ფონდისათვის ჩემ მიერ ახალციხეში მოგროვილს 86 მანეთს. შემოსწირეს ხუთ-ხუთი მანეთი: მ. პ. მეფისაშვილმა, თ-დმა ა. ვაჩნაძემ, ი. ი. ორბელიანმა და ვ. გ. გამრეკელმა; სამ-სამი მანეთი: ი. გ. ნადირაძემ, ა. ს. გიორგობიანმა, დეკანოზმა დ. ხახუტაშვილმა, კონსტანცია მეფისაშვილმა, მღვდელმა ლ. გოზალაშვილმა, თ-დმა რ. დ. წერეთელმა, ა. პ. მაისურაძემ და ფარატ-ბეგ ერისთავმა; ორ ორი მანეთი: მიხეილ ხოფიკაშვილმა, ევგენია გ.—სულმა ასათიანმა, ალექსანდრე ყიფშიძემ, იოსებ ყანჩაველმა, ნიკო ჯაფარიძემ, თ დმა ა. აფაქიძემ, პავლე ამაშუკელმა, მღდელმა მ. ჟამუტაშვილმა, ვარლამ მდივანმა და პავლე ბუტკუსკიმ; თითო მანეთი: გ. ი. ქიქოძემ, ზ. დარდალანმა, ი. კონსტანტინოვმა, თ-მა ქ. შალიკაშვილმა, გ. ბურჭულაძემ, მღვდელმა სიმონ ჭუჭულაშვილმა, კონსტანტინე ფილიპჯევმა, ევგენი ათაბეგიშვილმა, ნინო ჭუჭულაშვილისამ, მელქონ ჩინიჯოვმა, პაო ხოჯივანიშვილმა, ვლადიმერ კორინთელმა, ა. ჯავახიშვილმა, სულეიმან-ბეგ ერისთავმა, მ. მ.—ასულმა აბელოვისამ, რუსტამ-ბეგ ავალიშვილმა, ზაქარია არდაზიანმა, №№—მა და ფ. ბურჭულაძემ; ათ-ათი შაური: ანნა ფედოტოვისამ, სვიმონ ლეონ სავრიშვილმა, ივანე ბარიკალაშვილმა, გ. შატბერაშვილმა, გ. ზაალიშვილმა და ნესტორ ლორთქიფანიძემ.

გ. ბურჭულაძე.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го Апрѣля 1901 г.
სტამბა მ. შარაძის და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.